თავი - 1

ორგანიზაცია და ფინანსების მართვა

შინაარსი

- ორგანიზაცია როგორც სისტემა.
- მენეჯმენტის პროცესი ორგანიზაციაში.
- ფინანსების მენეჯერის როლი ბიზნესის მართვაში.

1 . 1 . ორგანიზაცია როგორც სისტემა

„ორგანიზაცია“ - არის ადამიანთა ჯგუფი, რომელთა საქმიანობა შეგნებულად კოორდინირდება საერთო მიზნების მისაღწევად.

„საქმიანობის მართვა“ - არის ორგანიზაციების სისტემები და პროცედურები, რომელთა მეშვეობითაც ახორციელებენ ისინი დასახულ მიზნებს.

სქემა 1

ორგანიზაცია როგორც სისტემა



იმისათვის, რომ ორგანიზაცია ფუნქციონირებდეს და გადარჩეს მას უნდა გააჩნდეს ეფექტური საკომუნიკაციო სისტემა.

ორგანიზაციის სტრუქტურა ხელს უწყობს მოქმედებათა კოორდინირებას. ჩვეულებრივ ამ ფუნქციას მენეჯერები და დირექტორები ასრულებენ.

1 . 2 . მენეჯმენტის პროცესი ორგანიზაციაში

მხოლოდ კაპიტალის არსებობა თავისთავად ვერ წარმოქმნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას. სწორედ მენეჯმენტი გახლავთ ის პროცესი, რომლის დახმარებითაც პროფესიულად მომზადებული სპეციალისტები ახდენენ ორგანიზაციის ფორმირებას და მართავენ მას, მიზნების დასახვითა და მათი მიღწევის საშუალებების შემუშავების გზით.

სქემა 2

მენეჯმენტის პროცესი



მართვის პროცესი გულისხმობს დაგეგმვის, ორგანიზების, ლიდერობისა და კონტროლის ფუნქციების შესრულებას, რომელთა განხორციელების დროს, მენეჯერები უზრუნველყოფენ სათანადო პირობებს, ორგანიზაციაში დაკავებული მუშაკების ეფექტური საწარმოო შრომისათვის და დასახული მიზნების შესატყვისი შედეგების მიღებას.

1 . 3 . ფინანსების მენეჯერის როლი ბიზნესის მართვაში

საწარმოს ფინანსური მეურნეობა შეგვიძლია განვიხილოთ როგორც სხვადასხვა წყაროდან შემოსული საკუთარი და მოზიდული კაპიტალის ერთობლიობის მართვა. საწარმოში მოზიდული სახსრები იხარჯება სხვადასხვა მიზნით: მარაგის შესაძენად, პროდუქციის საწარმოებლად, ძირითადი საშუალებისა და სხვა აქტივების შესაძენად, სხვადასხვა ხარჯებისა და გადასახადების დასაფარავად და ა.შ. ბიზნესში მომხდარი ოპერაციების შედეგად იცვლება კაპიტალი. ჩვეულებრივ, საწარმოში კაპიტალის ცვლილება, მოძრაობა მუდმივად ხდება. ტერმინი "ფინანსური მმართველობა" ნიშნავს, რომ ეს მოძრაობა ხორციელდება გარკვეული გეგმების შესაბამისად. სწორედ ფირმის კაპიტალის მოძრაობის მართვა გახლავთ, ფინანსური მმართველობის ძირითადი საგანი.

უკანასკნელ ხანებში ფინანსების მენეჯერის როლი საკმაოდ გაფართოვდა. ფინანსური მმართველები ამჟამად დაკავებულნი არიან არა მარტო ფინანსების, არამედ კომპანიის ზოგადი მმართველობითაც.

სახსრების სწორი განაწილება ეკონომიკის ოპტიმალური განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, კაპიტალის ეფექტურად გაზრდისა და განაწილების გზით, ფინანსურ

დირექტორს თავისი წვლილი შეაქვს ფირმის კეთილდღეობაში, მის სიცოცხლისუნარიანობასა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

საწარმოს ფინანსური მმართველი იღებს გადაწყვეტილებებს ფინანსური სახსრების წყაროების შერჩევისა და მათი გამოყენების შესახებ.

სქემა 3

ფინანსების მენეჯერის ფუნქციები



ფინანსების მენეჯერის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება: როგორი კაპიტალდაბანდებები უნდა განახორციელოს ფირმამ, როგორ მოახდინოს მისი დაფინანსება და როგორ განაგოს არსებული რესურსები. ამ მოვალეობების ოპტიმალურად შესრულებისას ფინანსური მენეჯერები ხელს უწყობენ ფირმის ეკონომიკური მაჩვენებლების მაქსიმიზაციას.

საბაზრო ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებმა მნიშვნელოვნად აამაღლა ფინანსების მენეჯმენტის როლი. დღეს განვითარებულ ბაზარზე პრაქტიკულად თითქმის აღარ ვხვდებით მენეჯმენტის ფუნქციების ისეთ დანაწილებას როგორც იყო ადრე, როცა მარკეტინგის მენეჯერი გეგმავდა გაყიდვების მოცულობას, ტექნიკური და საწარმოო პერსონალი განსაზღვრავდა რა სახსრები იყო საჭირო ამ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ხოლო ფინანსების მენეჯერის მოვალეობას წარმოადგენდა მხოლოდ ის, რომ მას მოეზიდა ფული აუცილებელი მანქანების, აღჭურვილობის ან მასალების შესაძენად. ამჟამად გადაწყვეტილებებს იღებენ გაცილებით კოორდინირებულად და ჩვეულებრივ, ფინანსურ მენეჯერს სხვა მენეჯერებთან ერთად აკისრია პირდაპირი პასუხისმგებლობა მართვის პროცესებზე.

ბიზნესის განვითარების მიმართულება და ფინანსების როლის ზრდა, მნიშვნელოვნად გამოიკვეთა განათლების სფეროს ტენდენციებშიც. კომპანიათა პრიორიტეტებსა და საკადრო მოთხოვნებში ცვლილებებმა ბუნებრივად განსაზღვრა განათლების სისტემის ტენდენციები, რაც მკვეთრად არის გამოხატული განათლების სისტემის დღევანდელ ბაზარზე. საწარმოთა გაფართოებას და კორპორაციული სტრუქტურების გართულებას, საზღვარგარეთული ოპერაციების მუდმივ გაფართოებასთან ერთად, მივყავართ ფინანსური დაგეგმვისა და მენეჯმენტის როლის არსებითად ამაღლებასთან. ხოლო სახელმწიფო რეგულირების და კანონის მიერ კორპორაციებზე დაკისრებული ვალდებულებების გაძლიერებასთან დაკავშირებით გაიზარდა იურიდიული დახმარების საჭიროება. აქედან გამომდინარე მენეჯმენტში მნიშვნელოვანია ფინანსისტისა და იურისტის როლი.

დღეს კომპანიათა ხელმძღვანელებმა აშკარად იგრძნეს მართვის სიმძიმის ცენტრის ეს გადაადგილება. მრავალი მათგანი გრძნობს, რომ არასაკმარისად არიან მომზადებულნი ასეთი ცვლილებებისათვის. მათი უმეტესობა თვლის რომ, დამატებითი განათლება, ძირითადად- ბიზნესის მართვის, ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსებისა და იურისპრუდენციის სფეროში – მნიშვნელოვან სარგებლობას მოუტანს. ეს ტენდენციები იკვეთება პატარა ფირმებშიც, ასევე არაკომერციულ და სახელმწიფო ორგანიზაციებში.

აქტუალურია მეორე საკითხიც, რომ ორგანიზაციაში სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები ფლობდნენ მათი მომიჯნავე პროფესიების შესახებ კონცეპტუალურ ინფორმაციას. მაგალითად მარკეტინგის, წარმოების, კადრების და სხვა სფეროებში დაკავებული სპეციალისტები ერკვეოდნენ ფინანსურ საკითხებშიც: მაგალითად: მარკეტინგის სპეციალისტს უნდა ესმოდეს, თუ რამდენად მოახდენს მისი გადაწყვეტილება გავლენას ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა: ფულადი სახსრები, მატერიალურ-ტექნიკური მარაგი, საწარმოო სიმძლავრეები და ა.შ. ასევე, როგორც ის, თუ რამდენადაა დამოკიდებული მათი გადაწყვეტილებები თითონ ამ ფაქტორებზე. ასევე უნდა ესმოდეთ ბუღალტრებს თუ როგორ გამოიყენება მათი მონაცემები კომპანიის საქმიანობის დაგეგმვაში და რას ფიქრობენ ინვესტორები ამ მონაცემების შესახებ.

რამდენადაც ფირმის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებას გააჩნია ფინანსური სარჩული, ამიტომ ის ხელმძღვანელებიც, რომლებიც არ არიან დაკავებული უშუალო ფინანსური პრობლემებით, მაინც საკმარისად უნდა იცნობდნენ მას, რათა გაითვალისწინონ თავიანთ სპეციალურ ანალიტიკურ გაანგარიშებებში. ყველა, ვინც სწავლობს ბიზნესს – დამოუკიდებლად თავისი სპეციალიზაციისა – უნდა იცნობდეს ეკონომიკის ფინანსურ ასპექტს.